Internationale Humanitäre Hilfsorganisation e. V. v. Germany

საჩივარი N11214/19

გადაწყვეტილება 10.10.2023 [სექცია IV]

მუხლი 11

მუხლი 11-1

გაერთიანების თავისუფლება

მომჩივანი ასოციაციის კანონგარეშე გამოცხადება, რაც გულისხმობს მის დაშლას და აქტივების კონფისკაციას, ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასთან" დაკავშირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ფინანსური შემოწირულობების გამო: *დარღვევა არ დადგინდა.*

ფაქტები – 2010 წლის ივნისში გერმანიის ფედერალურმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ („სამინისტრო") გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მომჩივანი ასოციაცია, არაკომერციული ორგანიზაცია, ხალხთა შორის საერთაშორისო ურთიერთგაგების (Völkerverständigung) კონცეფციის საწინააღმდეგოდ ცნო და კანონგარეშე გამოაცხადა, რის შედეგადაც იგი დაიშალა, ამასთან სამინისტრომ ბრძანა მომჩივანი ასოციაციის აქტივების კონფისკაცია. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მომჩივანი ასოციაციის მიერ „სოციალური საზოგადოებების" სახელით ცნობილი საქველმოქმედო ორგანიზაციების გრძელვადიან და მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც პალესტინის მოსახლეობის - კერძოდ, ღაზას ისლამური საზოგადოების - სასარგებლოდ ახორციელებდნენ სოციალურ პროექტებს და რომლებიც ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის" ნაწილი იყვნენ. მომჩივანმა უშედეგოდ გაასაჩივრა აკრძალვა.

სამართალი – მუხლი 11:

(ა) *სახეზე იყო თუ არა ჩარევა* – მომჩივანი ასოციაციის კანონგარეშე გამოცხადება, რაც მის დაშლას და აქტივების კონფისკაციას გულისხმობდა, გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში ჩარევას წარმოადგენდა.

(ბ) *იყო თუ არა ჩარევა გამართლებული* –

1.იყო *თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული* – ზემოხსენებული ასოციაციის კანონგარეშე გამოცხადებას საფუძველი ჰქონდა შიდა კანონმდებლობაში, კერძოდ, გაერთიანებების შესახებ კანონის 3(1) მუხლით, გერმანიის ძირითადი კანონის 9 § 2 მუხლთან ერთობლიობაში. წინა გადაწყვეტილებაში, ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, იმავე შიდა დებულებებზე მითითებით და

მსგავსი მსჯელობით, დაადასტურა სხვა გაერთიანების აკრძალვა, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერა გაუწია იმავე ისლამურ საზოგადოებას. მოპასუხე სახელმწიფოს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიღებული მკაფიო და ზუსტი დასკვნების გათვალისწინებით, რომელიც აშკარად მსგავს სიტუაციას ეხებოდა, ერთადერთი შესაძლო დასკვნა იყო ის, რომ ასოციაციის მიერ ისლამური საზოგადოებისთვის ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება წარმოადგენდეს საქმიანობას, რომელიც „საერთაშორისო ურთიერთგაგების კონცეფციის წინააღმდეგაა მიმართული", რაც მის აკრძალვას იწვევს შიდასახელმწიფოებრივი დებულებებით. ამგვარად, ეს დებულებები მომჩივან ასოციაციას საშუალება აძლევდა, განესაზღვრა მისი აკრძალვა და რომ სადავო ჩარევა „კანონით იყო გათვალისწინებული".

2.*ლეგიტიმური მიზნის მიღწევა* - მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი საქმე განსხვავდებოდა წინა საქმეებისგან იმდენად, რამდენადაც ის ეხებოდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ზოგადად, ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის ხელშესახები საფრთხის მიუხედავად, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც შეიძლება ემსახურებოდეს არეულობის თავიდან აცილებას და სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ ზომების მიღება ისე, რომ მათი ტერიტორია არ იქნას გამოყენებული ტერორიზმის ხელშეწყობისა და საზღვარგარეთ კონფლიქტებში ძალადობის შემოტანის მიზნით. მუხლი 11§2 განიმარტება ფართოდ, სახელმწიფოებისთვის შეზღუდვის გარეშე, რომ მიიღონ ზომები მხოლოდ მათ იურისდიქციაში მყოფი პირების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთგაგების კონცეფციის დაცვა, როგორც ეს განმარტებულია და გამოიყენება ამ საქმეში, წარმოადგენდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, რაც მოიცავდა საზღვარგარეთ მცხოვრები პირების სიცოცხლის უფლებას. ხსენებული კანონგარეშე გამოცხადების შესახებ ბრძანების დეტალური განმარტების გათვალისწინებით, ასევე არ არსებობდა არანაირი მინიშნება იმისა, რომ ფედერალური შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვა მიზნის მიღწევას აპირებდა.

3.*ჩარევის აუცილებლობა* - მომჩივანი ასოციაციის კანონმგარეშე გამოცხადებით აუცილებლი გახდა მისი დაშლა და, შესაბამისად, წარმოადგენდა ყველაზე ინტრუზიულ შესაძლო ზომას. მეორეს მხრივ, მისი აკრძალვა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიზანს ისახავდა. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ტერორიზმის პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა რიგი საერთაშორისო და ზეეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტების გაცხადებულ მიზანს. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთგაგების კონცეფცია არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის წინაპირობა იყო, არამედ კონვენციის ძირითად ღირებულებებს შორისაც

შედიოდა, მათ შორის, საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პრინციპები და ადამიანის სიცოცხლის სიწმინდე. კონვენციის ღირებულებების საწინააღმდეგო საქმიანობაში ჩართულ ასოციაციებს არ შეეძლოთ მე-11 მუხლის გარანტიებით სარგებლობა, რომელიც განმარტებულია მე-17 მუხლის საფუძველზე და რომელიც კრძალავდა კონვენციის გამოყენებას მისით გარანტირებული უფლებების განადგურების ან ზედმეტად შეზღუდვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ასოციაცია თავად არ იყო ჩართული ძალადობრივ ქმედებებში, ტერორიზმის ირიბი მხარდაჭერის აკრძალვის მიზნები, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთგაგების კონცეფციას, იყო მეტად მნიშვნელოვანი, და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოები სარგებლობდნენ თავისუფალი შეფასების უფრო ფართო ფარგლებით.

სადავო ზომის პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლო არ შემოიფარგლა მომჩივანი ასოციაციის წესდების წერილობითი ტექსტით, რომლის თანახმადაც, მისი გაცხადებული მიზანი იყო „მსოფლიოში შესაბამისი ჰუმანიტარული დახმარების გაწევა სტიქიური უბედურებების, ომებისა და სხვა კატასტროფების შემთხვევაში“, არამედ შეისწავლა მათი ფაქტობრივი გამოყენება პრაქტიკაში და ის აქტივობები, რომლებშიც მომჩივანი ასოციაცია რეალურად იყო ჩართული. ამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა მომჩივანი ასოციაციის მიერ ისლამური საზოგადოების და მოგვიანებით, ღაზაში დაფუძნებული კიდევ ერთი „სოციალური საზოგადოების“, “სალამის”, უდავო დაფინანსება. სამინისტრომ და ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს დამაჯერებელი მტკიცებულებები იმისა, რომ აღნიშნული ორი თვითგამოცხადებული „სოციალური საზოგადოება“ არ წარმოადგენდა ცალკეულ ერთეულებს, არამედ რეალურად წარმოადგენდა “ჰამასის: ნაწილს და სათანადოდ შეაფასეს, რომ “ჰამასის” საერთო ორგანიზაცია, მათ შორის მისი ე.წ. „სოციალური საზოგადოებები“, ტერორისტულ ორგანიზაციად უნდა ჩაითვალოს. ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზი, გადაეხვია ამ შეფასებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ “ჰამასი” მთლიანად ევროკავშირმა 2003 წლიდან პირდაპირ შეიტანა „ტერორისტულ აქტებში ჩართული პირების, ჯგუფებისა და ერთეულების“ სანქციების სიებში, რაც დადასტურდა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებით. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა დამაჯერებელი დასკვნები გააკეთეს, იმის შესახებ რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ასოციაცია არ იყო ჩართული ძალადობის ფაქტებში, მისმა წამყვანმა წევრებმა იცოდნენ და უშვებდნენ „სოციალური საზოგადოებების“ “ჰამასთან” კავშირს. ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე მიუთითეს მომჩივანი ასოციაციის მიერ ამ საზოგადოებების დაფინანსების მნიშვნელოვან მოცულობაზე, შესაბამის ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირებზე და იმ ფაქტზე, რომ მომჩივანმა ასოციაციამ, რომელიც შეშფოთებული იყო თავისი საქმიანობის პოტენციური შეზღუდვებით, სცადა “ჰამასთან” ურთიერთობის დაფარვა ისლამური

საზოგადოების, როგორც მისი ფინანსური მხარდაჭერის ბენეფიციარის, "სალამით" ჩანაცვლებით. აქედან გამომდინარე, შიდა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ მომჩივანი ასოციაცია მომავალში კვლავ შეეცდებოდა შეზღუდვების გვერდის ავლას და რომ ის ფუნდამენტურად აიგივებდა თავს "ჰამასთან".

შიდა კანონმდებლობა გაერთიანების აკრძალვას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ითვალისწინებდა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად მიუთითა გაერთიანების აკრძალვაზე, როგორც ყველაზე სერიოზულ ჩარევაზე, რომლის გამოყენებაც მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც ნაკლებად შემზღუდავი საშუალებები არ იქნებოდა ეფექტური ხელისუფლების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. მას ჩატარებული ჰქონდა ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე შედარება (მოკვლება) და განახორციელა ფართო შეფასება იმ პოტენციურად ნაკლებად შემზღუდავი ზომებისა, რომლებიც სრულ აკრძალვაზე ხელმისაწვდომი იქნებოდა, და გადაწყვიტა, რომ არცერთი მათგანი არ იყო შესაფერისი. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი დებულებების ფორმულირება აშკარად არ მოიცავდა აკრძალვის რაიმე ალტერნატიულ სანქციას, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საერთო კონტექსტის გათვალისწინებით, კანონის უზენაესობისთვის დამახასიათებელი პროპორციულობის კონსტიტუციური პრინციპი ინტერპრეტაციის გზით გამოიყენებოდა ამ დებულებებზე.

ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ისლამური საზოგადოება (და მოგვიანებით "სალამი") მხოლოდ ერთ-ერთი იყო ექვსი ასოციაციიდან, რომელსაც მომჩივანი ასოციაცია ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა. მიუხედავად ამისა, სადავო თანხა, რომელიც მომჩივანი ასოციაციის მთლიანი დაფინანსების აქტივობების დაახლოებით 50%-ს შეადგენდა და 2006 წლიდან 2010 წლამდე დაახლოებით 2,500,000 ევროს წარმოადგენდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ამ შემოწირულობებში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ "ჰამასის" დაფინანსება მომჩივანი ასოციაციის მთავარი ინტერესი იყო, რასაც ასევე ხაზს უსვამდა დასკვნა, რომ მომჩივანმა ასოციაციამ წარსულში სცადა პოტენციური შეზღუდვებისთვის გვერდის ავლა, რათა გაეგრძელებინა "ჰამასის" მხარდაჭერა "სალამის", როგორც ჩამნაცვლებელი ორგანიზაციის გამოყენებით. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა საფუძველი, გადაუხვიოს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ასოციაცია სხვა პროექტებსაც აფინანსებდა, მისი საქმიანობის შეზღუდვა ეფექტური არ იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ, ეროვნული სასამართლოების დასკვნების თანახმად, გაერთიანება ფუნდამენტურად აიდენტიფიცირებდა თავს ტერორისტული ორგანიზაციის მიზნებთან, რომელსაც ის ირიბად უჭერდა მხარს და როდესაც წარსულში მსგავსი ქმედებების საფუძველზე დადგინდა მომავალში გვერდის ავლის რეალური რისკი, მომჩივანი გაერთიანების სრული აკრძალვა არაპროპორციული არ ჩანდა.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის კანონგარეშე გამოცხადებამ ან დაშლამ შესაძლოა მოითხოვოს მისთვის წინასწარი მოსმენის ან გაფრთხილების შეტყობინების ან მოსმენის და ხარვეზების გამოსწორების სხვა შესაძლებლობის მიცემა, ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსმენა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად განხორციელებულ ნებისმიერ შემდგომ ზომას გახდის ბათილს, არაეფექტიანს ან აღუსრულებელს. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა სასამართლოებმა მომჩივანი ასოციაციის მიერ პოტენციური შეზღუდვებისთვის გვერდის ავლის წარსულში მიღებულ მცდელობასთან დაკავშირებით დასკვნა გააკეთეს, რომ წინასწარი მოსმენა სავარაუდო მტკიცებულებების განადგურებას და აქტივების სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემას შესაძლებელს გახდიდა, რაც ნებისმიერ აკრძალვას არაეფექტურს გახდიდა. გარდა ამისა, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს წინადადება მეგობრული მორიგების შესახებ (რომლის თანახმადაც, მომჩივან ასოციაციას სამწლიანი დროებითი პერიოდის განმავლობაში მიეცა შესაძლებლობა გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა პალესტინის ტერიტორიების გარეთ, სანამ მას შეეძლო დაემტკიცებინა, რომ მან შეწყვიტა პალესტინის მხარდამჭერი საქმიანობა) გაკეთდა სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე და ემსახურებოდა პროცედურული ეკონომიის მიზანს; ამგვარად, ეს წინადადება არ შეიძლება იქნას გაგებული ისე, თითქოს მიუთითებდეს, რომ ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოჩივანი ასოციაციის საქმიანობის შემცირება საკმარისად ეფექტური იქნებოდა. ამგვარად, შეთანხმების პირობები არ შეიძლება ჩაითვალოს მომჩივანი ასოციაციის მიერ აკრძალვის არაპროპორციულობის მითითებად.

დადგინდა, რომ მომჩივანი ასოციაცია, თავისი საქმიანობის ჰუმანიტარული დახმარების საფარქვეშ წარმოჩენის გაგრძელებისას, შეგნებულად უჭერდა მხარს საერთაშორისო ტერორიზმს, პირდაპირ თუ ირიბად. ეს ქმედება შეუთავსებელი იყო კონვენციის ძირითად ღირებულებებთან. გარდა ამისა, არც ეროვნულ სამართალწარმოებაში და არც სასამართლოში შეტანილ სარჩელში მომჩივან ასოციაციას არ გაუმიჯნავს თავი "ჰამასის" ძალადობრივი მიზნებისა და ქმედებებისგან.

შეჯამების სახით, კონკრეტულ გარემოებებში თავისუფალი შეფასების უფრო ფართო ფარგლების, ეროვნული სასამართლოების მიერ ჩატარებული ყოვლისმომცველი დაბალანსების და სადავო მნიშვნელოვანი ინტერესების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ წარმოადგინა შესაბამისი და საკმარისი მიზეზები და არ გადააჭარბა თავისუფალი შეფასების ფარგლებს. შესაბამისად, მომჩივანი ასოციაციის გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა იყო პროპორციული დასახული ლეგიტიმური მიზნებისა და მაშასადამე, იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში".

დასკვნა: დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად).